


შპს „ფულ“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც
დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს



19

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	6
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4. ძირითადი საშუალებები.....	10
5. არამატერიალური აქტივები.....	11
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	11
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
8. ფულადი სახსრები და ექვივალენტები.....	11
9. საწესდებო კაპიტალი.....	12
10. რეზერვები და დაფინანსება.....	12
11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
13. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები.....	12
14. ამონაგები	12
15. სხვა შემოსავალი.....	13
16. კაპიტალის მართვა.....	13
17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის.....	13
18. განუსაზღვრელი ვალდებულებები	13
19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	271 700	441 201	233 652
სავაჭრო მოთხოვნები	7		38	-
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		462 470	437 779	213 007
მარაგები	6	3 061 001	1 386 995	221 534
- მზა პროდუქცია		3 007 532	1 386 995	221 534
- სხვა		53 470	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	179 134	-
სხვა არამატერიალური აქტივები	5	16 900	9 282	4 958
ძირითადი საშუალებები	4	1 450 455	1 230 477	410 930
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		1 786 148	1 786 148	-
სულ აქტივები		7 048 675	5 471 054	1 084 081
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	12	67 100	3 280	466
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		11 363	2 325	3 490
საგადასახადო ვალდებულებები		63 950		33 956
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	640 170	72 399	68 473
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	290 227	63 902	137 825
სხვა ვალდებულებები	12	620 000	820 000	820 000
სულ ვალდებულებები		1 692 810	961 907	1 064 210
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საბაიო კაპიტალი')	9	1 786 148	1 786 148	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		3 569 717	2 723 000	19 871
სულ საკუთარი კაპიტალი		5 355 864	4 509 148	19 871
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7 048 675	5 471 054	1 084 081

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)		31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
ნეტო ამონაგები		4 257 263	1 793 837	630 271
საქონლის გაყიდვიდან	14	4 257 263	1 793 837	630 271
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1 993 449)	(677 552)	(413 845)
საწყისი მარაგები		(1 386 995)	(221 534)	(119 178)
მარაგების შესყიდვა		(3 667 455)	(1 843 014)	(516 202)
საბოლოო მარაგები		3 061 001	1 386 995	221 534
საერთო მოგება		2 263 814	1 116 285	216 426
სხვა შემოსავალი	15	-	93 147	
დასაქმებულთა ანაზღაურება		(426 271)	(138 084)	(47 006)
ცვეთა და ამორტიზაცია		(136 560)	(87 457)	(14 568)
საპროცენტო ხარჯი:		(29 818)	(11 018)	(2 327)
იჯარის ხარჯი		(619 220)	(213 453)	(80 802)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(240 360)	(104 895)	(45 768)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1 452 229)	(461 761)	(190 472)
საოპერაციო მოგება		811 584	654 524	25 954
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		34 694	(504)	263
მიღებული დივიდენდები	15	-	2 049 109	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		439		(6 346)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		846 717	2 703 129	19 871
განგრძობითი ოპერაციებიდან				
მოგების გადასახადი			-	-
მოგება/(ზარალი)		846 717	2 703 129	19 871
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი				
სხვა				
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:				
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		846 717	2 703 129	19 871
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)				
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	1 786 148	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 786 148	1 786 148	

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(728 186)	287 838	191 718
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	555 960	(71 353)	(2 327)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(172 226)	216 485	189 391
სავალუტო კურსის ეფექტი	2724,86	(8 936)	(2)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	441 201	233 652	44 262
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	271 700	441 201	233 652

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1 786 148	2 723 000	4 509 148
კაპიტალის ზრდა	-		
საანგარიშო პერიოდში მიღებული სრული შემოსავალი		846 717	846 717
		846 717	846 717
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1 786 148	3 569 717	5 355 865

დირექტორი



მთ.ბუღალტერი



1. ზოგადინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფულ“, წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს, რომელიც დარეგისტრირებული იქნა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2016 წლის 14 ივლისს.

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია განახორციელა შემოსავლების სამსახურის დიდუბე-ჩუღურეთის სერვის ცენტრმა და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 402036042.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დაფუძნებული იქნა 1 ფიზიკური პირის მიერ: ალა ალოიანი 100%. 2018 წელს მოხდა კომპანიის დამფუძნებლების ცვლილება და ამჟამად კომპანიის მფლობელები არიან:

- ალა ალოიანი 50%
- მალხაზ მახსოი 50%

საზოგადოების რეგისტრაციისას კომპანიის საწესდებო კაპიტალი დაფიქსირებული არ ყოფილა

საზოგადოება დღიდან დაფუძნებისა დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ბაქოს ქ. #10

საზოგადოების მოქმედი წესდებით კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ტანსაცმელით, ფეხსაცმელით და ასევე სხვადასხვა აქსესუარებით თბილისის სავაჭრო ცენტრებში განთავსებული მაღაზიების მეშვეობით. კომპანია მოიცავს Trussardi, Pull&Love, VaBene და Bene Shoes მაღაზიას.

31.12.2017 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა 7 თანამშრომელი, 31.12.2018 წლისათვის 11 ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 31.12.2019 წლისათვის კი 32 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2018 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შესადარისი ფინანსური ანგარიშგებისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების მეორე ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს,

რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე და სალაროში მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საზოგადოება ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ასევე უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველაწარმოადგენს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შე-
საძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანე-
ლობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასე-
ბებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სა-
სარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

შენიშვნები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს

საანგარიშგებო პერიოდში საზოგადოებაში დივიდენდის გაცემა არ განხორციელებულა

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად,

რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ვალუტის სახეობა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
1 ევრო	3,2095	3,0701	3.1044
1 აშშ დოლარი	2,8677	2,6766	2.5922

4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თავდაპირველ (ისტორიული) ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ.

(ლარი)

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31/12/2018	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31/12/2019
პირვანდელი ღირებულება				
2120, შენობები	902542,37	669526,52	677966,1	894102,79
2140, მანქანა-დანადგარები	1271,19	680,24		1951,43
2150, ოფისის აღჭურვილობა	1368,68	2531,33		3900,01
2155, კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობა	20682,11	18113,11		38795,22
2160, ავეჯი და სხვა ინვენტარი	200844,96	95854,79		296699,75
2165, ელ.ტექნიკა და მოწყობილობა	38353,06	8175,3		46528,36
2175, სარეკლამო ინვენტარი	57369,04	18170,97		75540,01
2180, წვრილმანი აღჭურვილობა და დანადგარი	4661,62			4661,62
2190, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	107915,9	211081,5		318997,4
ჯამი	1335008,93	1024133,76	677966,1	1681176,59
ცვეთა		შემცირება	დარიცხვა	
2220, შენობის ცვეთა	1880,3	8474,58	22440,54	15846,26
2240, მანქანა-დანადგარების ცვეთა	360,21		288,3	648,51
2250, ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	447,04		589,16	1036,2
2255, კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობის ცვეთა	5207,68		6794,24	12001,92
2260, ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვეთა	47952,63		49203,91	97156,54
2265, ელ.ტექნიკა და მოწყობილობის ცვეთა	9486,82		9410,84	18897,66
2275, სარეკლამო ინვენტარის ცვეთა	13027		13032,98	26059,98
2280, წვრილმანი აღჭურვილობის და დანადგარის ცვეთა	2330,82			2330,82
2290, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	23838,96		32904,91	56743,87
	104531,46	8474,58	134664,88	230721,76
საბალანსო ღირებულება	1230477,47	1015659,18	543301,22	1450454,83

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

(ლარი)

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31/12/2018	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31/12/2019
პირვანდელი ღირებულება				
ლიცენზიები	9 850,00	9 513,72	-	19 363,72
ჯამი	9 850,00	9 513,72	-	19 363,72
ცვეთა				
ლიცენზიის ამორტიზაცია	568,36	1 895,12	-	2 463,48
ჯამი	568,36	1 895,12	-	2 463,48
საბალანსო ღირებულება	9 281,64	7 618,60	-	16 900,24

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1 მზა პროდუქცია	3007531,71	1386995,31	221533,89
2 სხვა (საექსპლუატაციო) სას.-მატ. ფას.-ები	53469,72	-	0
ჯამი	3061001	1386995	221533

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1 სავაჭრო მოთხოვნები	0	38	-
2 გადახდილი ავანსები	462 062	437779	213007
3 სხვა მიმდინარე მოთხოვნები	0	179134	0
ჯამი		616951	213007

8. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

(ლარი)

დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1 ფული სალაროში	201215	97944	81118
2 ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	65932,58	136746	89211
3 ფული საბანკო ანგარიშზე (უცხოური ვალუტა)	4552,76	206512	63323
ჯამი	271700	441201	233652

9. საწესდებო კაპიტალი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალი გაიზარდა და შეადგენს 1786148 ლარს. აღნიშნული სიდიდით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი გაიზარდა შპს „მადა“-ში მალხაზ მახსოის საკუთრებაში არსებული 50% წილით. ამავდროულად დაიდო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ალა ალოიანი (პასპორტი N 71 4005053) საზოგადოების 50% წილს საკუთრებაში გადასცემს მალხაზ მახსოის (პ/ნ 01013007186)

10. რეზერვები და დაფინანსება

საზოგადოებაში ინვესტიციები და მიზნობრივი დაფინანსება არ განხორციელებულია

11. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება 290227,03 ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს სს საქართველოს ბანკი-სგან 2019 წლის სექტემბერში აღებულ (150000,00 ევრო) გრძელვადიანი სესხების ანგარიშებზე არსებულ დავალიანებას.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	სავაჭრო ვალდებულებები	67100	3280	466
2	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	63950	0	33956
3	ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11363	2325	3490
4	ვალდებულებები საწარმოს დამფუძნებლების წინაშე	620000	820000	820000
	ჯამი	762413	825605	857912

13. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	სესხის ხელშეკრულება 4869565	67 035	72399	68473
	სესხის ხელშეკრულება 6044367	418 115		
	სესხის ხელშეკრულება 6364961	155020		
	ჯამი	640170	72399	68473

14. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2019	31.12.2018
1	საქონლის გაყიდვიდან	4257263	1793837

15. სხვა შემოსავალი

საზოგადოებაში სხვა შემოსავალი არ მიუღია

16. კაპიტალის მართვა

საზოგადოების კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს საზოგადოების ფუნქციონირება, რათა პარტნიორებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, საზოგადოებამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

საზოგადოება არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შრომის ანაზღაურებას, საზოგადოების 50% წილის მფლობელობაში არსებული საზოგადოებიდან მიღებულ დივიდენდს და საზოგადოების დამფუძნებლის მიმართ არსებულ დავალიანებას.

(ლარი)

	დასახელება	ოპერაციის სახე	თანხა 2019 წელი	თანხა 2018 წელი
1		დარიცხული ხელფასი	13952	18000
2		ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ	620000	820000
	ჯამი		633952	838000

18. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო განხილვები. საანგარიშო პერიოდში საზოგადოება მონაწილეობდა სასამართლო დავაში საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. საანგარიშო პერიოდში და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანიის დაგირავებული ან/და შეზღუდული აქტივები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ყადაღა/აკრძალვა

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. საზოგადოებას მოზიდულ სახსრებთან დაკავშირებით გააჩნია ვალდებულებები, თუმცა მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

